ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესყიდვაზე №ჩ-13

დ.ჩხოროწყუ **05 აგვისტო 2011 წ.**

აუდიტორული ფირმა შპს „პულსი-XXI" შემდგომში "შემსრულებლად წოდებული, მისი დირექტორის ედიშერ ბულიას სახით, ერთის მხრივ და მეორეს თაიას საჯარო მისი დირექტორის ლონგინოზ თოდუას სახით, შემდგომში „დამკვეთად" წოდებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" ავალებს ხოლო "შემსრულებელი" კისრულობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IFAC) შესაბამისად ჩაატაროს თაიას საჯარო სკოლის 2005 - 2010 წლების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება და "დამკვეთის" მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით გასცეს აუდიტორული დასკვნა.

1.2. შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვროს 2005 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. "შემსრულებელი" ვალდებულია;

2.1.1. დაიწყოს შემოწმება ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი კვირის განმავლობაში.

2.1.2. მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, „დამკვეთთან" დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე დამოუკიდებლად განსაზღვროს აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები.

2.1.3. მიიღოს „დამკვეთის" ან მესამე პირების ხელით არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც შეეხება აუდიტის საგანს. ასეთი დოკუმენტების მქონე მესამე პირები ვალდებულნი არიან წარუდგინონ ისინი აუდიტორულ ფირმას მოთხოვნის შესაბამისად.

2.1.4. საიდუმლო შეინახოს აუდიტორული მომსახურების დროს მიღებული ინფორმაცია, არ გაახმაუროს საიდუმლოების შემცველი ცნობები, არ გამოიყენოს თავიანთი ან მესამე პირის ინტერესებისათვის.

2.1.5. მომსახურების დასრულების შემდეგ წარუდგინოს „დამკვეთს" აუდიტორული დასკვნა.

2.1.6. 2005-2010 წლების შედეგების ანგარიშის აუდიტორული დასკვნა წარუდგინოს დამკვეთს 2011 წლის 10 სექტემბრამდე.

2.2 "დამკვეთი" ვალდებულია:

2.2.1. "შემსრულებელს" დროულად მოთხოვნისთანავე გადასცეს აუდიტის ჩასატარებლად საჭირო მთელი დოკუმენტაცია. ჭარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე, სისრულეზე და შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება "დამკვეთს" და/ან მესამე პირს.

2.2.2. მომსახურების ხარისხიანად ჩატარების მიზნით გამოყოს სამუშაო ადგილი და უზრუნველყოს კომპიუტერული და სხვა სახის საჭირო მოწყობილობებით.

2.2.3. ოპერატიულად აღმოფხვრას აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებები.

2.2.4. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს შემოწმების პერიოდში წამოჭრილ სადაო საკითხებთან დაკავშირებით თავისი თანამშრომლებისა და მესამე პირების დასწრება.

2.2.5. დროულად აანაზღაუროს აუდიტორის მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულებისა და ანგარიშსწორების წესი

3.1. აუდიტორის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით აუდიტორული შემოწმების დამთავრებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის "დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს "შემსრულებელს" ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 0.1%-ის ოდენობით

4.2. "შემსრულებლის" მიზეზით "დამკვეთისათვის" დასკვნის გადაცემის დაგვიანებისათვის "შემსრულებელი" იხდის ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 0.1%-ის ოდენობით.

4.3. სხვა შემთხვევაში ამ ხელშეკრულებით თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და შესრულებლისათვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავსირებული "დამკვეთსა" და/ან "შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

5.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობოთ მეორე მხარეს. ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილებასა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომელიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავათა გადაჭრა

6.1. მხარეები სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინაამღდეგ შემთხვევაში მიმართვანე სასამართლოს.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ მათი ხელმოწერის შემდგომ.
8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც ასე წესრიგდება წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგილურდება საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით.
8.3. ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"დ ა მ კ ვ ე თ ი"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
თაიას საჯარო სკოლა
დ.ჩხოროწყუ სოფ. თაია
ს/კ 242263377
ა/ა GE94LB0121133221315000
უფროსი: ლ. თოდუა

" შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი "

შპს აუდიტორული ფირმა "პულსი-XXI"
ქ.ზუგდიდი, ქუჯის ქ. №8/64
ს/კ 419982077. ბ.კ-REPLGE22
ბანკი რესპუბლიკა ზუგდიდის ფილიალი
ა/ა GE13BR0000010671126646

დირექტორი ე. ბულია